

შპს „იკა“

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

წინამდებარე ანგარიშის მიზანია, განასხვავოს ერთმანეთისგან მენეჯმენტისა და აუდიტორთა პასუხისმგებლობები, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „იკა“-ს (შემდეგში კომპანია) ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში. მენეჯმენტი პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც ნათლად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მის მიერ ჩატარებული ქმედებების შედეგებზე, ფულადი ნაკადის მოძრაობისა და კაპიტალში ცვლილებების ანგარიშზე ზემოთაღნიშნული წლის ბოლოსთვის, მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის დაცვით (მსს ფასს). ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტი პასუხისმგებელია:

- ამოირჩიოს შესაფერისი სააღრიცხვო პრინციპები და შესაბამისად გამოიყენოს ისინი;
- მოახდინოს წინდახედული და არსებითი შეფასებები;
- მსს საერთაშორისო სტანდარტის თანახმად, განაცხადოს ნებისმიერი არსებული დარღვევების შესახებ და ახსნას ის ფინანსურ ანგარიშგებაში;
- მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება წარმოების უწყვეტობის პრინციპზე იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას შესწევს უნარი გააგრძელოს თავისი საქმიანობა მომავალში. მენეჯმენტი ასევე პასუხისმგებელია:
- შექმნას, განახორციელოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტური და ხარისხიანი სისტემა კომპანიაში;
- ნებისმიერ დროს აწარმოოს კომპანიის ფინანსური ანგარიშგების ჩანაწერების აღრიცხვა შესაბამისი სიზუსტით, რომელიც შესაძლებლობას მისცემს მათ დარწმუნდნენ, რომ ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფასს-ების დაცვით;
- გადადგას ისეთი ნაბიჯები, რომელიც შესაძლებლობას მისცემს მათ დაიცვას კომპანიის აქტივები;
- აღმოფხვრას სხვადასხვა დარღვევები.

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, მენეჯმენტის მხრიდან 2021 წლის 27 სექტემბერს დამტკიცებულია შემდეგი პირების მიერ.

დირექტორი




ლაშა ნოზაძე

2020 წლის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

დასახელება (GE)	2020 ლარი	2019 ლარი	2018 ლარი
მიმდინარე აქტივები	76988	76988	92107
ნაღდი ფული	0	0	18000
სავაჭრო მოთხოვნები	76988	76988	74107
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები და სხვა	0	0	0
მიმდინარე აქტივები	0	0	0
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	0	0	0
საგადასახდო აქტივი	0	0	0
გრძელვადიანი აქტივები	56030	70037	87546
არამატერიალური აქტივები	0	0	0
არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია	0	0	0
მიწა	0	0	0
ძირითადი საშუალებები	56030	70037	87546
ძირითადი საშუალებების ცვეთა	0	0	0
კაპიტალი	-661581	-487539	-409198
სარეზერვო კაპიტალი	0	0	0
საწესდებო კაპიტალი	0	0	0
აკუმულირებული მოგება-დაუფარავი ზარალი	-487539	-409198	-432775
მიმდინარე მოგება-ზარალი	-174042	-78341	23577
ვალდებულებები	794599	634564	588851
მიმდინარე ვალდებულებები	3411	3411	9992
სავაჭრო ვალდებულებები	3411	3411	9124
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	0	0	0
საგადასახდო ვალდებულებები	0	0	868
დარიცხული ვალდებულებები	0	0	0
მიღებული ავანსები	0	0	0
გრძელვადიანი ვალდებულებები	791188	631153	578859
გრძელვადიანი სესხი	791188	631153	578859

შპს „იკა“-ის დირექტორი
ლაშა ნოზაძე



2020წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლის სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

	შენიშვნა	2019 წელი	2019 წელი
ამონაგები	1	596378	2377295
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		0	0
საერთო მოგება		596378	2377295
სხვა შემოსავალი	2	0	0
ტრანსპორტირებისა და მასზე გაწეული მომსახურების ხარჯები		-745762	-2318208
ადმინისტრაციული ხარჯები	6	-10651	-119919
ცვეთა და ამორტიზაცია	8,9	-14007	-17509
სულ საოპერაციო ხარჯები	5	-770420	-2455636
საოპერაციო მოგება		-174042	-78341
გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისში	16	-487539	-409198
დივიდენდი			
გაუნაწილებელი მოგება წლის ბოლოს	16	-661581	-487539

2020 დასრულებული წლის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	საწესდებო კაპიტალის ცვლილება	გაუნაწილებელი მოგება	პერიოდის მ/ზარალი	სულ კაპიტალი
ნაშთი 31 დეკემბერი 2018	-409198		-409198		-409198
2018 წლის შემოსავალი				-78341	
ნაშთი 31 დეკემბერი 2019	-487539		-487539		-487539
2019 წლის შემოსავალი				-174042	
ნაშთი 31 დეკემბერი 2020	-661581		-661581		-661581

შპს „იკა“-ის დირექტორი
ლაშა ნოზაძე



2020 წლის ფულადი ნაკადების ანგარიშგება

	2020 წელი	2019 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
წმინდა მოგება	(174042)	(78341)
კორექტირებები არაფულადი შემოსავლებისთვის და ხარჯებისთვის:	(174042)	(78341)
- გადასახადები	-	-
- ცვეთა	14007	17509
ცვლილებები საშუალო კაპიტალში		
- სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	(76988)	(76988)
- მარაგები	0	0
- სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	3411	3411
- სხვა საგადასახადო ვალდებულებები	0	0
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	(73577)	(73577)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
- ძირითადი საშუალებების შეძენა	-	-
- ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული თანხები	-	-
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
- საწესდებო კაპიტალის ზრდა (შემცირება)	0	0
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	0	0
ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო ოვერდრაფტის ზრდა (კლება)	160035	34297
ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო ოვერდრაფტის საწყისი ბალანსი	631153	596859
ბატვლითი კურსის ეფექტისგან გამომწვეული ცვლილება		
ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო ოვერდრაფტის საბოლოო ბალანსი	791188	631153

შპს „იკა“-ს დირექტორი

ლაშა ნოზაძე



ზოგადი ინფორმაცია

შპს „იკა“-ს იურიდიული ფორმა არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს).

კომპანიის იურიდიული და ფაქტიური მისამართი არის: თბილისი გულიას ქ. #1

შპს „იკა“-ს აქვს საქმიანობის ორი მიმართულება:

- 1) თურქულ კომპანია ლუქს კარადენიზთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე ახდენს მისთვის სატრანსპორტო (მგზავრთა გადაყვანა) ბილეთების რეალიზაციის მომსახურებას, საიდანაც თურქული კომპანია მას უხდის რეალიზებული ფილეთებიდან შემოსული თანხის 20%.
- 2) კომპანიას გააჩნია სატვირთო გადაზიდვის მომსახურება, რომლის მეშვეობითაც იგი ახორციელებს საზღვარგარეთ ტვირთებზე საკუთარი ტრაილერების მეშვეობით შეკვეთების მიღებას და გადაზიდვების მომსახურებას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა განცხადება შესაბამისობის შესახებ

მოცემული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია „მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის“ (მსს ფასს) (IFRS for SMEs) შესაბამისად.

საქართველოში რეგისტრირებული კომპანია საბუღალტრო აღრიცხვის ჩანაწერებს აწარმოებს მასს ფასს-ის (IFRS for SMEs) შესაბამისად. უნდა ჩაითვალოს რომ ზემოდ ხსენებულ სტანდარტზე კომპანია გადავიდა 2018 წლის 1 იანვრიდან. ეს ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია კომპანიის საბუღალტრო აღრიცხვის ჩანაწერების საფუძველზე. კომპანია თავის ოქმების კრებულებსა და ჩანაწერებს აწარმოებს ქართულ ლარში და ასევე ქართულ ლარში აწარმოებს ფინანსურ ანგარიშგებებს. ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მსს ფასს-ის (IFRS for SMEs) შესაბამისად მოითხოვს გარკვეული კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობისგან, გამოიყენოს განსჯა, კომპანიის საბუღალტრო პოლიტიკის გამოყენებისას. ის სფეროები, სადაც მნიშვნელოვანი განსჯა და შეფასებები გამოყენებული, ფინანსური ანგარიშგებების მომზადების დროს და მათი შედეგი მოცემულია სააღრიცხვო პოლიტიკასა და ახსნა-განმარტების შენიშვნებში.

ეს ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კომპანიის საანგარიშო პერიოდი არის კალენდარული წელი, 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

სამუშაო ვალუტა

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია ქართულ ლარებში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში, ფულს ბანკის შუალედურ ანგარიშზე.

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად მყიდველისაგან ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადის გამოკლებით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი არის მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადი. იგი ეფუძნება მიმდინარე წლის განმავლობაში წმინდა მოგების განაწილებას დივიდენდის სახით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

სატრანსპორტო საშუალებებზე, 20 პროცენტი

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების ტესტირება გაუფასურებაზე, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო

ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება უდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში – გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას ჯგუფისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც ჯგუფის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის. შპს „იკას“ არც ფიქსირდება ფინანსური იჯარა, ასევე არ ფიქსირდება არანაირი იჯარა.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

კომპანიას არ გააჩნია სასაქონლო მატერიალური მარაგები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ბილეთების რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ფიზიკურ პირებზე და მცირე შემთხვევაში ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი

მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ტვირთების გადაზიდვის მომსახურება ხორციელდება ძირითადად იურიდიულ პირებზე, რომლებთანაც ანგარიშსწორება ხდება ტვირთის ადგილზე მიტანამდე და მიტანის დროს. მცირე შემთხვევაში ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. სავაჭრო ვალდებულებების კორექტირება აისახება კორექტირების თარიღით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები

დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოების ვალდებულება განისაზღვრება შრომითი ხელშეკრულებიდან გამომდინარე. ერთჯერადად დაქირავებულის მომსახურების ანაზღაურების ღირებულება განისაზღვრება ჩატარებული სამუშაოების მიღება ჩაბარების აქტის ან გასავლის ორდერის მიხედვით. გასავლის ორდერში მითითებულია შესრულებული სამუშაო და ღირებულება და თანხის მიღება. ყველაფერი ზემოთ ჩამოთვლილი დასტურდება შესაბამისი ხელმოწერებით.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

კომპანიას არ გააჩნია სასაქონლო მატერიალური მარაგები.

ძირითადი საშუალებები

კომპანიის ძირითად საშუალებებს შედაგენს სატვირთო გადამზიდები (ტრაილერი), ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით 20%-იანი განიკვეთის მიხედვით.

შინაარსი	სატვირთო მანქანები
	ლარი
საბალანსო ღირებულება დასაწყისში 2020წ	70037
საბალანსო ღირებულება პერიოდის ბოლოსთვის 2020 წ	56030
შემოსვლა 2020წ.	0
გასვლა 2020 წ.	0
ცვლათა პერიოდის 2020 წ.	-14007

გადავადებული გადასახადი

კომპანიას გადავადებული გადასახდის ვალდებულება არ ერიცხება

სესხი და საბანკო გარანტია

კომპანიას სარგებლობს ხალიკ ბანკის სესხით 11%.

ვალდებულებები

ადგილობრივი საქონლის შეძენიდან წარმოქმნილი ვალდებულებები:

2018 – 9124 ლარი.

2019 – 3411 ლარი

2020 – 3411 ლარი

მოთხოვნები

მოთხოვნები იურუდიულ პირებზე გადაზიდვის მომსახურებიდან

2020	2019
ლარი	ლარი
76988	76988

დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოების ვალდებულებები

კომპანიას დაქირავებულ მომსახურე პირების მიმართ ვალდებულება არ გააჩნია

პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები კომპანიას არ უფიქსირდება

ფინანსური რისკები

კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა ფინანსურ რისკთან. საკრედიტო და ლიკვიდობის რისკები. კომპანიის რისკის მართვა მიზნად ისახავს კომპანიის ფინანსურ საქმიანობაზე უარყოფითი გავლენის მაქსიმალურად შემცირებას.

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა 2021 წლის 27 სექტემბერი.

შპს „იკა“-ს დირექტორი
ლალა ნოზაძე

